

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის №01-06/02  
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების  
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა  
2023 წლის -- თებერვალი  
დაბა ქედა

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106<sup>1</sup>-ე და 106<sup>5</sup>-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- მარტი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- მარტი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.keda.gov.ge](http://www.keda.gov.ge)).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

## ც ნ ო ბ ა

### საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის -- მარტს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის -- მარტს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის -- მარტი.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება №--**

**2023 წლის -- თებერვალი**

**დაბა ქედა**

**„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

**მუხლი 1.**

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

**1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან საერთო კრების ოქმის დედანი“

**2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეორე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2) ამხანაგობის კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და კრებაზე დამსწრე წევრები“

**3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეოთხე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) საერთო კრების ოქმის დედანი“

**4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 3.**

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერი განიხილავს შემოტანილ განცხადებებს და მათ შესაბამისობას ამ წესით და პროგრამით დადგენილ პირობებთან.

2. ამხანაგობის საერთო ქონების განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს შემდეგ ძირითად მიმართულებას:

ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი);

ბ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები;

გ) შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;

დ) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, სადარბაზოს ფანჯრები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები);

ე) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება).

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაძლებელია განისაზღვროს ამხანაგობისათვის დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების სახე, რომელიც არ არის მითითებული ამ მუხლის მე-2 პუნქტში და წარმოადგენს ამხანაგობების განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამუშაოებს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი (სახელმწიფო შესყიდვების ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით).

5. განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ:

ა) შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან, ღირებულებიდან ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზებიდან გამომდინარე მისი დაკმაყოფილება მიზანშეუწონელია;

ბ) შესასრულებელი სამუშაო უკვე დაფინანსებულია პროგრამის ფარგლებში და მოქმედებს შესრულებული სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადა;

გ) ამოიწურა ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობა;

დ) შემოწმების შედეგად არ დასტურდება განცხადებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა;

ე) დარღვეულია ამ წესის მოთხოვნები. “

## მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

## განმარტებითი ბარათი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერასაც.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ე) ნორმატიული აქტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

**ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლევან ვერძაძე.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის -- თებერვალი  
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმია, თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №85 განკარგულება.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

5. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ქედის  
მუნიციპალიტეტი  
მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2023-2027 წლებისათვის

2022 წელი

შინაარსი:

- 1 რეზიუმე
- 1.1 დაგეგმვის საფუძველი
- 1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი
- 1.3 გეგმის შემუშავების პროცესი
- 1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა
- 1.5 სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა
- 1.6 შედეგებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა
- 1.7 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია
- 2 შესავალი და არსებული მდგომარეობა
- 2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
- 2.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა
- 2.3 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
- 2.4 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები
- 2.5 დაგეგმვის პროცესის აღწერა
- 3 მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება
- 3.1 შესავალი
- 3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები
- 3.3 ნარჩენების რაოდენობა
- 3.4 ნარჩენების პროგნოზირება
- 3.5 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი
- 4 არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა
- 4.1 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები
- 4.2 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)
- 4.3 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება
- 4.4 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები
- 5 ნარჩენების მართვის არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები
- 5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება
- 5.2 აღდგენის პროცესები
- 5.3 ხარჯების ამოღების პრაქტიკა
- 5.4 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა
- 6 ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები
- 6.1 შეგროვება და ტრანსპორტირება
- 6.2 ნარჩენების განთავსება
- 6.3 აღდგენა

## 1.1 დაგეგმვის საფუძველი

საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც 2015 წლის იანვარში იქნა მიღებული, განსაზღვრავს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა (რომლებიც ამ ეტაპზე პასუხისმგებელი არიან და მომავალშიც, სავარაუდოდ, პასუხისმგებელი დარჩებიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე) უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი გეგმები, რომლებიც გამიზნული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების ფუნქციების გაუმჯობესებაზე ნარჩენების მართვის სფეროში.

აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კერძოდ, საუბარია შემდეგ პრინციპებზე: „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“, „დამბინძურებელი იხდის“, „სიახლოვის პრინციპი“ და „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“.

ამ კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5-წლიან პერიოდს, და უნდა შეესაბამებოდეს 2016–2013 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიისა და 2016–2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები ასევე უნდა თანხვდებოდეს ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების მიმართ, მათ შორის, სულ მცირე–მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ვერცხლისწყლის, სამედიცინო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენების აკუმულატორების, ბატარეების და აზბესტის მიმართ.

## 1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების მიხედვით. აღნიშნული გეგმის მიზანია ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას.

დამატებით, აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას, აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2022–2027 და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას მუნიციპალურ დონეზე.

წინამდებარე ნარჩენების მართვის 2023–2027 წლების გეგმა შემუშავებულია საქართველოს კანონის - „ნარჩენების მართვის კოდექსი“, „მყარი ნარჩენების მართვა აჭარაში“, ფარგლებში დაქირავებული გერმანული საკონსულტაციო კომპანია „LCPmbh“-ის მიერ მომზადებული კვლევის მონაცემების და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N414 დადგენილების - „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის შესახებ“ ხელმძღვანელობით და მეთოდური მითითებებით.

## 1.3 გეგმის შემუშავების პროცესი

ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება განხორციელდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ჯგუფის მიერ (მერის მოადგილე მამუკა ფარტენაძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტი ნათია გორგაძე, შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ დირექტორის მოადგილე ვაჟა ბალაძე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტის საფუძველზე.

გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმებისა და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით განხორციელდა საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ ჯგუფებთან.

#### **1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებით გატანას ახდენს მუნიციპალური შპს ქედის „კომუნალურსერვისი“.

შპს ქედის „კომუნალურსერვისი“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, კომერციულ ობიექტებსა და კომპანიებზე.

ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური. შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ მფლობელობაში მყოფი 2 ნაგავშიდით.

კომერციული ობიექტებისა და დაწესებულებებისაგან ნარჩენების გატანის მომსახურებისათვის მოსაკრებლის გადახდის ორგანიზებას ახდენს პირველადი სტრუქტურული ერთეული ეკონომიკის განვითარების სამსახური.

დაბა ქედის თემის და სოფლების ცენტრების ტერიტორიების დალაგება-დასუფთავებას ახდენს შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ მიერ დაქირავებული მუშახელი.

#### **1.5 სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა**

ევროპის წამყვან ქვეყნებში დღეს არსებული უახლესი მიდგომები მიმართულია ცირკულარული ეკონომიკის შექმნისაკენ, სადაც მეორადი გამოყენება და რეციკლირება ნორმას წარმოადგენს და „ნარჩენი“ როგორც ასეთი მოძველებული ცნებაა.

ნარჩენების მართვაში დღეს არსებული სისტემები წარმოადგენენ სისტემებს, რომლებსაც მინიმუმადე დაყავთ ნარჩენების განთავსება ნაგავსაყრელებზე და მაქსიმალურად ზოგავენ ნედლეულს. ეს სისტემები საშუალებას გვაძლევს შევცვალოთ ეკონომიკური მამოძრავებელი ძალები ისე რომ, მათ გარემოზე ზიანის ნაცვლად სარგებელი მოუტანონ გარემოს და ასევე, გააუმჯობესოს სიცოცხლის ხარისხი.

არსებული რეგულაციები და მიზნობრივი ამოცანები გადამწვეტ მამოძრავებელ ფაქტორებს წარმოადგენდა ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისათვის, რომელთა საშუალებითაც მოხდა ინოვაციის სტიმულირება რეციკლირების და ხელმეორედ გამოყენების ფართოდ დანერგვისათვის, ნაგავსაყრელზე განთავსების შეზღუდვა და რესურსების გამოყენების შემცირება და შეიქმნა სტიმულები მომხმარებლის ქცევის შეცვლისთვის. თუმცა, ევროკავშირი ჯერ კიდევ ერთ სულზე საშუალოდ 5 ტონა ნარჩენს წარმოქმნის წელიწადში, რომლის მესამედზე ცოტა მეტი რეციკლირდება ეფექტიანად. შესაბამისად, ევროკავშირი ახდენს პოლიტიკის და სამიზნე ამოცანების შემდგომ მოდერნიზებას, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას; ნარჩენების გადაქცევას ევროკავშირის რესურსების ძირითად, სტაბილურ წყაროდ; ენერჯის აღდგენას მხოლოდ არა-რეციკლირებადი ნარჩენებიდან და ნაგავსაყრელების პრაქტიკულად აღმოფხვრას. ნარჩენების პოლიტიკის შემდგომ ეტაპზე გადასვლა მნიშვნელოვან სარგებელს მოიტანს ეკონომიკური ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, უდანახარჯოდ ან უმნიშვნელო დანახარჯების სანაცვლოდ, იმავდროულად კი წვლილს შეიტანს უკეთესი გარემოს შექმნაში.

#### **1.6 შედეგებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა აწარმოოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების არღივცვა და შექმნას შესაბამისი ბაზა.

ეფექტიანი მომსახურების მიწოდებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელის აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ნარჩენების შეგროვების ურნებით, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მომსახურება ნარჩენების შეგროვების კონტენირებული სისტემა ფუნქციონირებდეს. დამატებით აუცილებელია ავტოპარკის განახლება ნარჩენების შეგროვების თანამედროვე ტექნიკით, საუბარია მცირეგაბარიტიან მაღალი გამავლობის სპეციალტექნიკის შეძენაზე.

მომსახურების ოპტიმიზაციის მიზნით, აუცილებელია ნარჩენების შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაცია სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს ქაღალდსა და პლასტიკზე. კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვასთან ერთად.

## **1.7 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია**

ქედის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია; კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ზედამხედველობის სამსახურები, შპს „ქედის კომუნალურსერვისი“.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ყოველ ეტაპზე მოხდება თანამშრომლობა და აქტივობების კოორდინირება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

მუნიციპალიტეტში გამოიყო ოთხი თანამშრომელი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავება.

## **ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა**

### **2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები**

საქართველოში ნარჩენების მართვა სხვადასხვა სახელმწიფო ტრუქტურის პასუხისმგებლობაა.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე, მის განხორციელებაზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, როგორც მათ მშენებლობაზე, ისე ფუნქციონირებაზე და დახურვაზე, ასევე, გადამტვირთი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<sup>1</sup> კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც, კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე და ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებული არიან შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები. კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურ ამოცანებს (იხ. ქვემოთ, გრაფაში წარმოდგენილი ტექსტი კანონით განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნების შესახებ).

## 2.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

1. თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლოა შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად.
2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმას და ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ სხვა გეგმებს.
3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა გაიმართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები. საჯარო განხილვები უნდა მოაწყოს შესაბამისმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა.
4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:
  - ა) ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;
  - ბ) მონაცემებს შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
  - გ) მონაცემებს მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
  - დ) ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობას;
  - ე) ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
  - ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;
  - ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;
  - თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;
  - ი) გეგმით გათალისწინებულ ღონისძიებების განხორციელების გზებს და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს; წყარო: საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი”.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და დამუშავდეს იმ

წესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების გარეთ და ნარჩენების შესაგროვებელი პუნქტების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიის მესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენებისაგან მის გასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომლებიც გაზრდიან ნარჩენების რეციკლირებისა და აღდგენის დონეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნარჩენების აღდგენის პროცესის ხარჯ-ეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს.

### **2.3 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები**

ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველ ერთეულს, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის, დასავლეთით – ხელვაჩაურისა და აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტები. სამხრეთ ნაწილში კი – შავშეთის ქედზე გადის საქართველო–თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 200-400 მეტრზე.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 452.0 კმ<sup>2</sup> მოიცავს. ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოიყენებოდა 5,067 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 12.4%-ს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ძირითადად, დაკავებულია ტყეებით (77%), ბუჩქნარებითა (5.3%) და ჯერჯერობთ აუთვისებელი (4%) ტერიტორიებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდ. აჭარისწყლის დიდი ნაწილი (42 კმ.), აღსანიშნავია ასევე მდ. აკავრეთა.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე აჭარისწყლის ხეობაში გავრცელებულია კოლხური ტიპის მცენარეულობა. ფერდობებზე უხვადაა წიფლნარწაბლნარი. კარგადაა განვითარებული ქვეტყე (შქერი, იელი, თხილი, მოცვი, წყავი). დამახასიათებელია გარეული მსხალი, ვაშლი, კაკალი, ბალი, ზღმარტლი, ხურმა, ტყემალი. ზემოთ ვრცელდება შერეული ტყეები და წიწვოვნები, მცირე მონაკვეთზე სუბ-ალპური და ალპური მცენარეულობა.

მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. ადგილის სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ზომიერად ნოტიო ხდება, სადაც ზამთარი ზომიერად თბილია და ზაფხული თბილი. მთების ზედა სარტყლის ზონაში დამახასიათებელია ნოტიო ჰავა, შედარებით ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 12.8°C, იანვარში 3.4°C, ივლისში 21.2°C; აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა – 15.1°C; აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა 42.0°C. ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში 1,500მმ–ია. ზაფხული იცის გვალვიანი, ჭარბობს აღმოსავლეთისა და მთა-ხეობათა ქარები, თოვლიან დღეთა რიცხვი 16-30 დღეს აღწევს.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 16,760 კაცს. წლების მიხედვით მოსახლეობის დინამიკა ასე გამოიყურება.

**ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მონაცემები  
მოსახლეობის რაოდენობა 2018-2022 წლებში**

	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
დაბა ქედა	1389	1354	1316	1285	1292
სოფლები	15435	15455	15457	15415	15417
სულ:	16824	16809	16773	16700	16709

ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში დასტაბილურდა და კლების ტენდენცია შეწყვეტილია.

მუნიციპალიტეტში ოჯახებში ოჯახის წევრთა რაოდენობა საშუალოდ 4 ადამიანს შეადგენს.

მოსახლეობის განაწილება ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად: მოსახლეობის 99.7% ქართველია, 0.1% - რუსი, 0.1% - აფხაზი.

ქედის მუნიციპალიტეტში ერთი ცენტრი, დაბა ქედა და 64 სოფელია. მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტში 44.3 კაცი/კმ<sup>2</sup> შეადგენს.

მუნიციპალიტეტის წამყვანი დარგია მევენახეობა, განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, მარცვლეულის წარმოება, მებოსტნეობა, ხორცისა და რძის წარმოება.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მინერალური წყლების საამქრო „კოკოტაური“, ღვინისა და წველების ქარხანა, მშრალი ხილის საწარმო, გაყინული კარტოფილი ფრის საწარმო, წყაროს წყლის ჩამოსასხმელი საწარმო „ღარათი“ და სხვა.

მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში არის პირველადი ჯანდაცვის ობიექტები (ამბულატორიები), საჯარო და დაწყებითი სკოლები, კლუბები და ბაგა-ბაღები.

**2.4 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები**

ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2023 წლისათვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლების, ისე კომერციული ობიექტებისა და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე; ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა: მუნიციპალური ნარჩენები 98% 2024 წლისთვის; სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 95% 2026 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2026 წლისთვის;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);

- ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2025 წლისთვის დაბა ქედასა და აწჰესის დასახლებაში.
- ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
  - ქალაქი 50% 2026 წლისთვის;
  - მინა 70% 2024 წლისთვის;
  - მეტალი 80% 2024 წლისთვის;
  - პლასტიკი 70% 2024 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.
- ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების 90%-ით ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2026 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2024 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;

## 2.5 დაგეგმვის პროცესის აღწერა

### დაგეგმვის ჩარჩო

გეგმა შემუშავებულ იქნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების

სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით. სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავებულ იქნა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) პროგრამის ფარგლებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნულმა ჯგუფმა გამოკვეთა გეგმასთან მიმართებაში დაინტერესებულ მხარეთა შემდეგი ჯგუფები – საწარმოები და კომერციული ობიექტები, რომლებიც ადგილზე ფუნქციონირებენ, მსხვილი ფერმერები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ., რომლებთანაც განხორციელდა კონსულტაციები გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე და რომლებიც, აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მთელ პროცესში.

დაინტერესებული მხარეების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით განხორციელდა სამი საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით 2022 წლის 16 და 18 ნოემბერს და 19 დეკემბერს.

გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოქვეყნებული იყო განცხადებები აღნიშნული გეგმის მომზადებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზების შესახებ.

## ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

### 3.1 შესავალი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებას ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“, რომლის 100%-ის წილის მფლობელია თვითმმართველი თემი ქედის მუნიციპალიტეტი.



2017 წლის თებერვლის თვეში ქედის თვითმმართველობამ ნარჩენების გატანისათვის შეიძინა ერთი ერთეული მაღალი გამავლობის ნაგავზიდი და 144 ერთეული 1,1 მოცულობის კონტეინერი. ასევე, 2021 წელში შეძენილი იქნა იგივე მოცულობის მაღალი გამავლობის ნაგავზიდი და 44 ერთეული 1,1 მოცულობის კონტეინერი, რითაც მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტის სამოცამდე სოფლისათვის, რომელსაც ახორციელებს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“. ამ პროცესში ჩართულია 2 ნაგავზიდი და 6 მუშახელი. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნარჩენების გატანა 2017 წლამდე არ ხორციელდებოდა. ნარჩენების გატანა ხდება დაბა ქედის მთლიანი დასახლებიდან და მუნიციპალიტეტის სამოცამდე სოფლიდან.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისი მიეწოდება ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80% (დარჩენილი 20% არის იმ სოფლების უბნების მოსახლეობა, სადაც მაღალი გამავლობის სპეცავტომანქანა ვერ ახერხებს შესვლას გზის სივიწროვის გამო, რის შედეგადაც ვერ ხერხდება მომსახურების მიწოდება).

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში მოქმედ კომერციულ ობიექტებსა და კერძო კომპანიებს მათ მიერ ხდება განთავსებულ ურნებში ნარჩენების შეგროვება. გატანას ახორციელებს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“.

### 3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

აღნიშნული გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები<sup>3</sup>;
- ქუჩის ნაგავი;
- ფოთოლი და ბაღის ნარჩენები;
- მცირე საწარმოო ობიექტების ნარჩენები; სამშენებლო ნარჩენები; სახიფათო ნარჩენები.
- ინერტული (სამშენებლო) ნარჩენები.

### 3.3 ნარჩენების რაოდენობა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს:

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების პროგნოზი 2023-2027 წლებში**

	2023 წელი (ტონა)	2024 წელი (ტონა)	2025 წელი (ტონა)	2026 წელი (ტონა)	2027 წელი (ტონა)
დაბაში ნარჩენების წარმოქმნა	654	660	673	675	680
სოფლებში ნარჩენების წარმოქმნა	2427	2431	2442	2448	2455
სულ: ნარჩენების წარმოქმნა	3081	3091	3115	3123	3135

მომსახურების სერვისის მიწოდების არეალის გაზრდით შეგროვებული და გადატვირთული ნარჩენების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მომსახურების სერვისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიებისათვის სრულად მიწოდების შემთხვევაში შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების მთლიანი რაოდენობა ყოველწლიურად შეადგენს სავარაუდოდ 1800 ტონას, ხოლო სამშენებლო და ინერტული ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 1335 ტონას. მთლიანად შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა იქნება 3135 ტონა.

სახიფათო სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას და გატანას ხელშეკრულების საფუძველზე სამედიცინო ობიექტებიდან ახდენს შპს „ეკომედი“.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების ზუსტი აღრიცხვა სახეობების მიხედვით არ მიმდინარეობს და არ არსებობს შესაბამისი ბაზა, ვინაიდან არ მიმდინარეობს ნარჩენების შეგროვებისას მათი სეპარირება.

### 3.4. ნარჩენების პროგნოზირება

იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და საწარმოებისათვის, ეს ბუნებრივია გამოიწვევს მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ნარჩენების რაოდენობის ზრდას.

სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტის ნარჩენების შეგროვების მომსახურების სრულად დაფარვის შემთხვევაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ყოველთვიურად შეგროვებული მთლიანი მოცულობა გაიზრდება დაახლოებით 1800 ტონამდე. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ფარგლებში ყოველდღიურად გროვდება საშუალოდ 6 ტონა ნარჩენი. ანუ სრული დაფარვის პირობებში მაქსიმუმ 7-7.5 ტონა ნარჩენის შეგროვება მოხდება ყოველდღე მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

### 3.5 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნარჩენების შემადგენლობაზე მსჯელობისას, გამომდინარე იქიდან, რომ ქედის მუნიციპალიტეტს არ აქვს მონაცემები მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ 2015–2016 წლებში ქ. ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაწილების პოლიგონზე განხორციელებული ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგები.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული კვლევის შედეგები, რაც გვამლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის აღდგენადი ნარჩენების ამოღება შეიძლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ნარჩენების ნაკადიდან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება მუნიციპალიტეტის რეციკლირების პოტენციალის შეფასება.

#### №1. ნარჩენების მორფოლოგიურ შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგი (გასაშუალებული მაჩვენებელი ოთხივე სეზონისათვის)

ნარჩენების კატეგორია	%
ქალაქი და მუყაო	14.7%
მინა	5.02%
ლითონები	1.73 %
პოლიეთილენი/პლასტმასი	16.68%
ბავშვის ჰიგიენური საფენი	5.89 %

ქსოვილები	6.81 %
ორგანული მასალები	36.6%
სამშენებლო ნარჩენები	6.0%
განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული ნარჩენები	1.81%
ტყავი და რეზინა	2.0%
სხვა ტიპის ნარჩენები	1.4%

როგორც შედეგებიდან ვხედავთ ნარჩენების შემადგენლობიდან სამი ძირითადი ნაკადი შეგვიძლია გამოვყოთ, რომელსაც დომინანტური პოზიცია უკავია ნარჩენების მთლიან ნაკადში. ესენია: ორგანული ნარჩენები (36.6%), პოლიეთილენი/პლასტმასი (16.68%) და ქაღალდი და მუყაო (14.7%).

#### ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

როგორც ზემოთ არის აღნიშნული ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე 2017 წლის მარტის თვიდან ახდენს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“.

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. კერძოდ, საუბარია ქედის მოსახლეობის 80%-ზე. სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას (საუბარია 64 სოფელზე) მიეწოდება ნარჩენების შეგროვების მომსახურება. იმ სოფლების უბნებში, სადაც არ ხდება მომსახურების მიწოდება მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და განთავსება ხდება პრიმიტიულად მოწყობილ ორმოებში.

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. კერძოდ, დაბა ქედა სრულად მოცულია და ნარჩენების შეგროვების სერვისი (დაბა ქედაში 2022 წლამდეც არსებობდა ეს მომსახურება, ხოლო ქედის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 80%-ს მიეწოდება ეს მომსახურება. შეგროვებული ნარჩენის გატანა სამიზნე ტერიტორიიდან ყოველ მესამე დღეს ხდება.

მუნიციპალიტეტის სოფლების 20% (ე.წ. მიკრო უბანი) ვერ სარგებლობს ნარჩენების გატანის მომსახურებით, რადგან მაღალი გაბარიტიანი ავტომანქანა ვერ ახერხებს ამ უბნებში მისვლას გზების სივიწროვის გამო, რის გამოც მოსახლეობას არ ეწევა შესაბამისი მომსახურება. დაბა ქედა მოცულია მთლიანად.

მთლიანად მუნიციპალიტეტში 300 ნარჩენების შეგროვების კონტეინერია განლაგებული. 255 ერთეული 1,1 მ<sup>3</sup> კონტეინერი განლაგებულია საცხოვრებელ კორპუსებთან, ხოლო 45 ერთეული 0,2 მ<sup>3</sup> საზოგადოებრივ ადგილებში. სოფლებში დამატებით იგეგმება 70 ერთეული 1,1 მ<sup>3</sup> კონტეინერის განთავსება, საიდანაც ნარჩენების შეგროვება მოხდება ყოველდღე.

რაც შეეხება კომერციულ ობიექტებს და კომპანიებს/საწარმოებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებენ, მათ დადებული აქვთ კონტრაქტები შესაბამის კომპანიებთან და ისინი ახდენენ მათგან ნარჩენების გატანას. ქედის საავადმყოფოსა და სასწრაფო სამედიცინო სამსახურიდან მუნიციპალური ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“, ხოლო სამედიცინო ნარჩენების გატანას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ეკო მედი“ კვირაში ერთხელ.

იმ სოფლების იმ უბნებში, სადაც არ ხდება მომსახურების მიწოდება მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და განთავსება ხდება ინდივიდუალურად

თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში მოწყობილ ორმოებში ან უახლოეს ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარტიანი ნარჩენების, მათ შორის მაცივრების, მიტოვებული მანქანების შეგროვება და გატანა არ ხდება. ასეთი ნარჩენების შენახვა/დასაწყობება ხდება თავად ამ ნარჩენების მფლობელების მიერ შემდგომში მათი ჯართის მიმღებ პუნქტებში ჩაბარების მიზნით.

რაც შეეხება ინერტულ-სამშენებლო და შენობა-ნაგებობების ნგრევის შედეგად მიღებულ ნარჩენებს, მათი განთავსება ხდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მითითებით სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიებზე მათი გასწორხაზოვნების მიზნით.

ინერტული ნარჩენების განთავსებისათვის მინიციპალიტეტში ცალკე ტერიტორიები არ არის გამოყოფილი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საუბარია დაბა ქედისა და მახუნცეთის თემის აწვევის დასახლებაზე მუნიციპალიტეტის სოფლებისა და თემების ცენტრებში ყოველდღიურად ხდება დაგვა-დასუფთავება შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ.

ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტი, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი ერთეულის სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური, სადაც დასაქმებულია სამი ადამიანი.

ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის იმ თანამშრომლების აყვანას, რომლებიც ნარჩენების შეგროვების და გატანის პროცესში არიან ჩართულები, ახდენს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“, ხოლო უკვე აყვანილი თანამშრომლების ტრენინგი და მათი უნარ-შესაძლებლობების გაზრდა შესაბამისად ამ კომპანიების მოვალეობას წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული პოლიტიკა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით, რომლებსაც მუნიციპალიტეტი იყენებს ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის. ასევე, არ არის სტანდარტიზაციის პოლიტიკა ნარჩენების კონტეინერებთან დაკავშირებით.

ქედის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი იმ სატრანსპორტო საშუალებების შეძენას და მოვლა-შეკეთებას, რომლებიც ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში გამოიყენება. მუნიციპალიტეტს არა აქვს თავისი საამქრო ამ სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შეკეთებისათვის. როგორც წესი, ამ მიზნით ხდება ტენდერების გამოცხადება და შესაბამისი კომპანიების აყვანა, როდესაც მცირე მასშტაბიან სარემონტო საქმიანობებზეა საუბარი, ხდება ერთჯერადი ხელშეკრულებების დადება შესაბამის კომპანიასთან.

#### **4.1 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები**

##### ***ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები***

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ. ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე, რომელსაც ამ ეტაპზე მართავს შპს „სერვისი 2016“.

არსებული ნაგავსაყრელის ფართობი 19,2 ჰა. ბათუმის ნაგავსაყრელი მდებარეობს მდინარე ჭოროხის გასწვრივ. ნაგავსაყრელზე არ ხორციელდება არანაირი გარემოსდაცვითი ღონისძიება, რის გამოც მაღალია ნიადაგის, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი.

აღნიშნულ ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება მუნიციპალიტეტმა 2000 წლიდან დაიწყო. ყოველ მესამე დღეს ნაგავსაყრელზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული 6 ტონა ნარჩენის განთავსება ხდება. ნარჩენების ტრანსპორტირება

ნაგავსაყრელზე ნაგავმზიდის საშუალებით ხდება. საშუალო მანძილი ნარჩენების შეგროვების ადგილიდან ნაგავსაყრელამდე 70 კმ-ია.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ნარჩენების გადატვირთვა ხდება ქ. ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, რომლის მართვა ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანიის მოვალეობაა.

- ინერტული (სამშენებლო) ნარჩენების განთავსება ხდება სტიქიურად სხვადასხვა ლოკაციებზე სამშენებლო ტერიტორიებზე ორმოების შესავსებად. საჭიროა გამოინახოს და გამოიყოს ინერტული ნარჩენების განთავსების მიზნით ტერიტორიები სამ ლოკაციაზე.

ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია.

არალეგალური ნაგავსაყრელების აღწერა ხდება სისტემატიურად, რის შემდეგაც ხდება დალაგება-დასუფთავებას. ხოლო კანონდამრღვევ პირებზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები. კერძოდ, ასეთი ტერიტორიები არის იქ, სადაც არ ხდება ნარჩენების ნაგავმზიდით ტრანსპორტირება.

#### **4.2 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოქმედებს რაიმე საწარმო, რომელიც მოახდენდა აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას და გატანას.

ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების რეციკლირებასა და აღდგენას დაქვემდებარებული ნარჩენების წლიური რაოდენობა შეადგენს 720 ტონას.

მუნიციპალიტეტში არ არის მოწყობილი ნარჩენების შეგროვების პუნქტები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს რამდენიმე საწარმო, რომელიც ქაოტურად ახდენს აღდგენადი მასალების შეგროვებას. საუბარია ძირითადად პლასტმასისა და ქაღალდის ნარჩენებზე.

#### **4.3 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება**

მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვებასა და გატანის ხარჯებს იღებს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“. შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს საკუთარი შემოსავლების წყარო არის ავტოტექნიკის გაქირავებით მიღებული ხარჯები და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვისათვის მიღებული სუბსიდია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შპს „ქედის კომუნალურსერვისზე“ გამოსაყოფი თანხა განისაზღვრება ტექნიკის, კონტინერების შეძენის, საწვავისათვის, ტექპერსონალზე გასაცემი ხელფასის და სხვა ხარჯების დასაფარად. არსებული კანონმდებლობის მიხედვით მოსაკრებლის სახით ამოღებული ხარჯები აკუმულირდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუმცა მისი ოდენობა მინიმალურია. მთლიანი მართვის ხარჯების დასაფარად ყოველწლიური დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვისათვის შეადგენს საშუალოდ 650000 ლარს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 4%-ია. ერთი ტონა ნარჩენის შეგროვებასა და ტრანსპორტირებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 384 ლარს, მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სრულად სერვისის მიწოდების შემთხვევაში მუნიციპალური ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვის ხარჯი გაიზრდება 25%-ით და მიაღწევს 780000 ლარს.

#### **4.4 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები**

ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანისათვის მოსაკრებლის ოდენობა მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N30 დადგენილებით და ერთ სულ მოსახლეზე თვეში 0,50 ლარით განისაზღვრება, ხოლო დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის მოსაკრებელი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 0,25 ლარს. ყოველ სრულშემოსავლიანი ოჯახებისთვის საშუალოდ 4

წევრზე გაანგარიშებით ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 2 ლარს, ხოლო დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისთვის ერთ ლარს.

დადგენილების შესაბამისად ორგანიზაციებსა და კომერციული ობიექტებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება კატეგორიების მიხედვით. თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელი საშუალოდ წარმოქმნილ 1 მ<sup>3</sup> ნარჩენზე მოსაკრებელი შეადგენს 16,48 ლარს. მოსაკრებლის დარიცხვა და ამოღების ორგანიზებას ახდენს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

საშუალოდ ყოველწლიურად ორგანიზაციებსა და კომერციულ ობიექტებზე გაწერილია მოსაკრებლის სახით 40000 ლარი. მათგან ამოღებული მოსაკრებლის ოდენობა საშუალოდ შეადგენს 20000 ლარს ანუ 50%-ს. მოსაკრებლის დაბალი მაჩვენებელი იქნა ამოღებული 2020-2021 წლებში ქვეყანაში პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო.

დღემდე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ნარჩენების მოსაკრებელს არ იხდის. არ არის შემუშავებული მოსახლეობისაგან მოსაკრებლის ამოღების სრულყოფილი მექანიზმი. მოსახლეობიდან მოსაკრებლის ამოღების შემთხვევაში დაბალშემოსავლიან ოჯახებზე შეღავათების გავრცელების პირობებში 16700 სულზე გაანგარიშებით წლიურად საშუალოდ შეადგენს 65000 ლარს და მთლიანად შესაძლებელია მოსაკრებლის სახით 90000-95000 ლარის ბიუჯეტში შემოსავლის მიღება.

ასევე, დარიცხული მოსაკრებლის ამოღება არ ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და ზოგიერთი კომერციული ორგანიზაციებისაგან.

**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვისათვის გაწეული ხარჯები 2018-2022 წლებში**

კატეგორია	2018 წელი (ლარი)	2019 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)	2022 წელი (ლარი)
საოპერაციო	514406	608701	554656	730500	765900
კაპიტალური	47740	-	29640	30000	275000
სულ	562146	608701	584296	760500	793400

მიზანშეწონილია მომდევნო წლებიდან დაინერგოს მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის სერვისის მიწოდებისათვის მოსაკრებლების ამოღების პრაქტიკა. პირველ ეტაპზე დაბის მოსახლეობისათვის და 2027 წლისათვის მთლიანად მოსახლეობისათვის.

**ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები**

ევროპის წამყვან ქვეყნებში ნარჩენების მართვის ამოსავალი წერტილია ნარჩენების იერარქია, რომლის მიხედვითაც ნარჩენების მართვის მეთოდებს შორის უპირატესობა პრევენციას ენიჭება. შემდეგი პრიორიტეტებია, რიგის მიხედვით, პროდუქტის ხელმეორედ გამოყენება, რეციკლირება, სხვა სახის აღდგენა (მაგ. ენერჯის აღდგენა) და ბოლოს, ნაგავსაყრელზე განთავსება, რომელიც განიხილება როგორც ყველაზე ნაკლებად სასურველი საშუალება.

ევროკომისიის გზამკვლევის, „რესურს ეფექტიანი ევროპა“<sup>6</sup> მიხედვით, 2020 წლისათვის ნარჩენები უნდა იმართებოდეს როგორც რესურსი.

ერთ სულზე ნარჩენების გენერაცია აბსოლუტურ კლებას უნდა განიცდიდეს. რეციკლირება და ხელმეორედ გამოყენება ეკონომიკურად მიმზიდველი უნდა გახდეს საჯარო და კერძო სექტორებისათვის ფართოდ დანერგილი დახარისხებულად შეგროვების სისტემებისა და მეორადი ნედლეულის ფუნქციონალური ბაზრების განვითარების გზით. ენერჯის აღდგენა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ არარეციკლირებადი მასალებით. ნაგავსაყრელზე განთავსება პრაქტიკულად უნდა აღმოიფხვრას და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის რეციკლირება.

ნარჩენების პრევენციაზე საუბრისას ცალსახაა, რომ აქ უფრო ცენტრალური მთავრობის როლი იკვეთება შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და გატარების კუთხით, რომლებიც მიმართული იქნება ნარჩენების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ პრევენციაზე. რაც შეეხება ადგილობრივი მთავრობის როლს ამ კუთხით, აქ უფრო ადგილობრივ მოსახლეობასთან მუშაობა იკვეთება ამ პოლიტიკის დოკუმენტების ეფექტიანი განხორციელების კუთხით – მოსახლეობასთან მუშაობა უშუალოდ პროდუქტების უკვე მოხმარებისა და გამოყენების ფაზებზე.

ევროსტატის მონაცემების მიხედვით, ევროკავშირში 1995 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში იკვეთება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების შემცირების მკაფიო ტენდენცია ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების მიმართულებით სტაბილურად სვლის ფონზე.

### **5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება**

ნარჩენების მართვის გამართული სისტემის ფუნქციონირების მიზნით საჭიროა დამატებით 35 1,1 მ<sup>3</sup> ტევადობის კონტეინერის განთავსება. ყოველწლიურად დაზიანებული ურნების შესაცვლელად საჭიროა 30 კონტეინერის შექმნა.

ნარჩენების შეგროვება და გატანა უნდა მოხდეს სერვისის მიწოდების გარეშე დარჩენილი სოფლებიდან როგორცაა ნამონასტრევი, ნამლისევი, ჩეტკიძეები, ხარაულის ზედა უბანი და სხვა.

ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის დამატებით საჭიროა ორი ნაგავმზიდი ავტომანქანის შექმნა, მათ შორის ერთი დაბალი ტევადობის, მაღალმთიანი სოფლების მომსახურების მიზნით.

ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს დაგროვილი ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვის და მათი განლაგებისათვის ურთიერთდაშორების მანძილის განსაზღვრის საფუძველზე.

მომსახურების არეალში კონტეინერების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმონაქმნებისაგან, რომელთაც იგი უნდა მოემსახუროს არ უნდა აღემატებოდეს 150-200 მეტრს. მაგრამ მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სირთულის გამო და მოსახლეობის არაკომპაქტური დასახლებების გამო ურნების განთავსებისას აუცილებლობა მოითხოვს ისინი ერთმანეთისაგან დაშორებული იქნან მეტი მანძილით.

მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას მომსახურების მარშრუტების ეფექტიანი და ეკონომიკური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

- ავტომანქანის გადაადგილებისას გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენის მასის ზრდა.
- სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში.
- ნარჩენების უსაფრთხო გადატვირთვის მიზნით დადგენილი მოთხოვნების, მათ შორის გზებსა და ხიდებზე მოძრავი მანქანების წონის შეზღუდვა.
- სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დაგეგმვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მოსაკრებლის ამოდების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ნაგავმზიდი ტრანსპორტის მოვლა-შენახვისათვის საჭირო პირობების შექმნა მათი ეფექტიანი ექსპლოატაციის მიზნით.

- ნაგავმზიდი ავტოტრანსპორტისათვის ცალკე სადგომი ტერიტორიის გამოყოფა მათი სანიტარული დამუშავებისათვის გარეცხვის პუნქტის მოწყობა.
- ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების და ოპერატორების გადამზადება სამუშაო პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით.

- მუშა პერსონალის უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით და ტექნიკური საშუალებებით.

## 5.2 აღდგენის პროცესები

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის მიზნით საჭიროა საწყისი ეტაპისათვის დაბა ქედასა და ტურისტულ ზონაში (აწვესის დასახლება) მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალაქის, პლასტიკატის და ორგანულ ნარჩენებზე.

ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით უნდა დაინერგოს კომპოსტირების პრაქტიკა ფერმერულ მეურნეობებში. რეკომენდებულია ეფექტურობის ამაღლების გათვალისწინებით ფერმერთა გაერთიანებით საერთო საკომპოსტე ადგილების მოწყობა.

## 5.3 ხარჯების ამოღების პრაქტიკა

ევროპის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღებას. ნარჩენების ჩარჩო დირექტივა მოითხოვს, რომ „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად, ნარჩენების მართვის ხარჯები დაეკისროს ნარჩენების წარმომქმნელს ან ნარჩენების ახლანდელს, ან წინა მფლობელს. გარდა ამისა, წევრმა ქვეყნებმა, ნარჩენების მართვის ხარჯები შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად დააკისრონ იმ პროდუქტის მწარმოებელს, რომელიც მოცემული ნარჩენების წყაროს წარმოადგენს. ნარჩენების მართვის ხარჯები შეიძლება ასევე გადანაწილდეს პროდუქტის დისტრიბუტორზეც.<sup>10</sup>

ევროპის ყველა ქვეყანაში ნარჩენების სერვისებზე დაწესებულია გადასახადი, „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. თუმცა, ქვეყნების მიხედვით განსხვავდება გადასახადების სქემები. ზოგ ქვეყანაში გადასახადის ოდენობა წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობაზეა დამოკიდებული. ხოლო სხვა ქვეყნებში არსებობს ფიქსირებული გადასახადი ნარჩენებზე, ან მუნიციპალური გადასახადი, რომელიც მოიცავს ნარჩენების გადასახადს. ფიქსირებული წლიური გადასახადი საოჯახო მეურნეობაზე ევროკავშირის ქვეყნების მუნიციპალიტეტებში მერყეობს 40 ევროდან (კატალონია, ესპანეთი) 2,415 ევრომდე (დიდი ზომის 1,100 ლიტრიანი კონტეინერისათვის შტუტგარდში, გერმანია). გადასახადი 1 კგ ნარჩენზე მერყეობს 0.17 ევროდან (სლოვაკია) 0.36 ევრომდე (შვედეთი).<sup>11</sup> ასევე, გადასახადი შეიძლება დაწესდეს ნარჩენების კონტეინერის მოცულობის, ან ნარჩენების მოთავსებისთვის განკუთვნილი სპეციალური ტომრების მიხედვით. ამასთან, გადასახადი შეიძლება ვარირებდეს ნარჩენების გატანის სიხშირის და სხვა პარამეტრების მიხედვით.

ტამპერეში (ფინეთი) ნარჩენების მართვა „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად ნარჩენების წარმომქმნელების მიერ ფინანსდება, გარდა იმ ნარჩენებისა, რომელზეც მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა ვრცელდება. ოჯახები გადასახადს იხდიან მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მიხედვით. ასევე, მათ შეიძლება აირჩიონ შეგროვების ინტერვალი მათი საჭიროებების მიხედვით. რეგიონული რეგულაციებით დადგენილია ნარჩენების კონტეინერების ტიპები, შეგროვების მაქსიმალური ინტერვალი და მოთხოვნები დახარისხებული შეგროვებისათვის (დახარისხების დონე). ნარჩენების შეგროვების გადასახადი ასევე ფარავს საყოფაცხოვრებო სახიფათო ნარჩენების მართვის და ნაწილობრივ, რეციკლირებადი ნარჩენების შეგროვების ხარჯებს.

კოპენჰაგენში (დანია) ნარჩენების შეგროვების გადასახადი გამოითვლება თითოეული ინდივიდუალური საოჯახო მეურნეობისათვის ნარჩენი ფრაქციისათვის განკუთვნილი კონტეინერების ნომინალური მოცულობის და გატანის სიხშირის მიხედვით. ასევე, დამატებითი გადასახადია დაწესებული იმ შემთხვევაში, თუ ნაგავმზიდის გაჩერების



ადგილიდან (ტროტუარიდან) კონტეინერამდე მანძილი 15 მეტრს აღემატება. ნარჩენი ფრაქციისათვის დაწესებული გადასახადი ფარავს ყველა სხვა სახის მომსახურების ხარჯებს, როგორცაა: დიდგაბარიტიანი ნარჩენების და ბალის ნარჩენების გატანა, სახიფათო ნარჩენების შეგროვება და რეციკლირების სქემები და შესაბამისად, მოსახლეობას ამ მომსახურებისათვის დამატებითი გადასახადი არ ეკისრება.

ევროპის ქვეყნებში ნარჩენების მომსახურების გადასახადები უმეტესად ნარჩენების მოცულობაზეა დამოკიდებული, კერძოდ, კონტეინერების მოცულობაზე. კოპენჰაგენში არსებობს ნარჩენების მოცულობაზე დაფუძნებული დინამიური სისტემა, როცა მოსახლეობას ყოველდღიურად შეუძლია ცვალოს ნარჩენების კონტეინერების მოცულობა. ასევე, სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს ნარჩენების აწონვის სისტემები. კერძოდ, ნაგავშიდებს გააჩნიათ ნარჩენების აწონვის მოწყობილობა, ნარჩენების წარმომქმნელი კი გადასახადს იხდის მის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების წონის მიხედვით. შესაბამისად, მეტი ნარჩენის წარმომქმნელისათვის გადასახადი უფრო მაღალია. ეს სისტემა მოითხოვს ტექნიკურად უფრო განვითარებულ ნაგავშიდებს და შესაბამისად, ყველგან არ არის ხელმისაწვდომი. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ნარჩენების წონაზე დამოკიდებული გადასახადები აჩენს ნარჩენების არალეგალურად გადაყრის საშიშროებას.

#### **5.4 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა**

ნარჩენების მართვის სფეროში საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ნარჩენების პრევენციის, დანაგვიანების აღმოფხვრის და რეციკლირების პრაქტიკის თვალსაზრისით.

ევროპულ ქვეყნებში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ხდება სხვადასხვა წამახალისებელი კამპანიების მოწყობა ნარჩენების მართვის სწორი პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ბალისა და სკოლის ბავშვებთან მუშაობაზე.

ბოლო წლებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების მიერ გამართულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მოსახლეობაში თვითშეგნების დონის ამაღლებას და ნარჩენების მართვის საქმეში მათი ჩართულობის აქტიურობას.

ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია საზოგადოების შემდგომი ინფორმირება ნარჩენების შეგროვების დროს მათი სეპარირების წესების დაცვის მწვანე ნარჩენების შეგროვების დროს კომპოსტირების მეთოდების გამოყენების მიზნით.

### **ნაწილი 6 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები**

ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ევროპაში ნარჩენების მართვის სისტემების განხილვის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

#### **6.1 შეგროვება და ტრანსპორტირება**

ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის მუნიციპალიტეტის სოფელებში განთავსებულია ურნები. დამატებით საჭიროა **40** ერთეული 1,1 ტევადობის ურნა.

ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის აღრიცხვის წარმოების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვა მუნიციპალიტეტის თავისებურებების გათვალისწინებით.

ოპტიმალური ეფექტიანობის მისაღწევად, მუნიციპალიტეტმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოახდინოს იმ ტექნიკის, მათ შორის შემგროვებელი მანქანებისა და კონტეინერების, სტანდარტიზაცია, რომელსაც იყენებს მომსახურებისას. მუნიციპალური

სტანდარტიზაციის ნორმების შემუშავება ცენტრალური მთავრობის შესაბამის სტანდარტიზაციის ნორმებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს.

ქედის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა მოხდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- შეგროვების მიზნით მანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში;
- ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის გზებსა და ხიდებზე მოძრავი მანქანების წონის შეზღუდვა.

სწორი სატაროფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამართლიანი მოსაკრებლის გამოთვლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით და ასევე, მოსაკრებლის ამოღების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

## 6.2 ნარჩენების განთავსება

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირება და განთავსება ხორციელდება ქ. ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე. აღნიშნული პოლიგონის მართვა კი უკვე ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანიის მოვალეობაა.

ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის ოპერირების დაწყების შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავსება მოხდება ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელზე.

## 6.3 აღდგენა

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქალაქი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე ეფექტიანი იქნება ასეთი შეგროვების პუნქტების მოწყობა საერთო სარგებლობის ადგილებთან.

*ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია საერთო სარგებლობის (რამდენიმე ფერმერის გაერთიანება) საკომპოსტე ადგილების მოწყობა.*

**შენიშვნა:** წინამდებარე 2023-2027 წლების ნარჩენების მართვის გეგმა წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და ინერტული ნარჩენების მართვისათვის შესასრულებელ დოკუმენტს და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია გეგმის შესრულების პერიოდში წარმოქმნილი ახალი პრობლემების შესაბამისად.

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

და სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მონაცემთა სისტემის სრულყოფა (მონაცემთა შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთა ბაზის შექმნა	არასრული ინფორმაციის არსებობა თემების ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების ზუსტი რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით, არ არის ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების (რადიაციული, სამედიცინო, ფეტქებადსაშიში და სხვა) თაობაზე	თემებში ნარჩენების აღრიცხვაზე შესაბამისი ბაზის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების (თემის წარმომადგენლები) გამოყოფა. შპს კომუნალურსერვისის მიერ გატანილი ნარჩენების თაობაზე პერიოდული ინფორმაციის წარმოდგენა. ზედამხედველობის სამსახურის მიერ მონაცემთა აღრიცხვა. სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და კონტრაქტორ იურიდიულ პირთან გატანილი ნარჩენების თაობაზე საინფორმაციო მონაცემთა წარმოდგენაზე პასუხისმგებლობის დაკისრება	მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა	2023-2024 წლები	ზედამხედველობის სამსახური, შპს „ქედის კომუნალურსერვისი“			ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	----------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

სა სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

								ო	ის წყარო
ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სრულყოფა. საკმარისი რაოდენობის კონტეინერებითა და ტრანსპორტით ეფექტიანი მომსახურების გაწევა მოსახლეობისათვის და მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის	რეალურად სოფლად მცხოვრებ მოსახლეობის 40%-ს არ მიეწოდება მომსახურების სერვისი, რის გამოც მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების უბნებში ნარჩენების შეგროვება და დამარხვა ხდება მიწის ნეკვეთებში ხელოვნურად მოწყობილ ორმოებში. არსებობს რისკები სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნისა	დამატებით ყოველწლიურად 1,1 მ <sup>3</sup> კონტეინერების 40 ერთეულის შექმნა ახალ ლოკაციებზე განთავსებასა და დაზიანებული კონტეინერების ჩანაცვლებისათვის	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება-გატანისათვის 100%-იანი შედეგის მიღწევა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სრულყოფა	ეტაპობრივად 2023-2027 წლებში	ქედის მუნიციპალიტეტი, შპს „ქედის კომუნალურსერვისი“	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	წლიურად 40000 ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

და სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

ნარჩენების ორგანიზებულად გადატვირთვისათვის სათანადო სპეცტექნიკით უზრუნველყოფა	არსებული ორი ერთეული ტექნიკა ვერ უზრუნველყოფს მთლიანად შეგროვილი ნარჩენების დატვირთვა-გადატვირთვას საკმარისი სიხშირით	ორი ერთეული სპეცტექნიკის შეძენა, მათ შორის ერთი მცირე მოცულობის ტევადობით მაღალმთიანი სოფლების მომსახურებისათვის	წარმოქმნილი ნარჩენების ათვისების დამატებით ტერიტორიებზე სერვისის მიწოდება	მომსახურების მიწოდების სერვისის ხარისხის გაუმჯობესება	ერთი ერთეული 2023 წლის ივლისამდე, ერთი ერთეული 2026 წლის ბოლომდე	ქედის მუნიციპალიტეტი	აჭარის არფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	30000 ლარი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
-------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------	----------------------	--------------------------------------------	------------	-------------------------------

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტინი ორი	აქტივო ბის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
ნარჩენების შეგროვების და გატანის მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკის და კონტეინერების	მუნიციპალიტეტის სოფლებში დაგროვილი ნარჩენებისათვის გამოყენებულია ძირითადად 1,1 მ <sup>3</sup> მოცულობის კონტეინერები. მცირე დასახლებული პუნქტებიდან მათი განთავისუფლება და	დამატებით მცირე მოცულობის კონტეინერების შეძენა. დაბალი ტვირთამწეობის ნაგავმზიდის შეძენა	ნარჩენების მართვის ეფექტიანი მართვა	დანახარჯების შემცირება	2023-2027 წლები	ქედის მუნიციპალიტეტი		წლიურად 5000 ლარი კონტეინერებისათვის, 2007 წელში 170000 ლარი ავტომობილისათვის	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

სა სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

სტანდარტიზაციის სრულყოფა	ნარჩენების გადმოტვირთვა ხდება ყოველ მესამე დღეს, რა პერიოდში მაღალი მოცულობის კონტეინერებში, რომელთა ღირებულებაც საკმაოდ მაღალია, ნარჩენების მხოლოდ მცირე მასაა შეგროვებული, ამიტომ საჭიროა აღნიშნულ პუნქტებში განთავსდეს დაბალი მოცულობის კონტეინერები. ასევე, არსებული ორი ნაგავმზიდი არის მაღალი ტევადობის, რომელთა გამოყენება მცირე ტვირთებისათვის ხარჯების დაზოგვის მიზნით არ არის მიზანშეწონილი და საჭიროა მცირე მოცულობიანი ავტოტექნიკის შეძენა								
--------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

და სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფელში განკუთვნილი ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების ლოკაციების და ტრანსპორტის მარშრუტის განსაზღვრა	სოფლებში კონტეინერების განთავსების ადგილები და ტრანსპორტის გადაადგილების მარშრუტები და გრაფიკი არ არის სრულყოფილი	მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით კონტეინერების განთავსების ადგილების მოიშვნა და რუკების შედგენა, ტრანსპორტის გადაადგილების მარშრუტის თაობაზე გრაფიკის შედგენა	ნარჩენების მართვის ხარისხის გაუმჯობესება	ბენეფიციარებზე სრულყოფილი სერვისის მიწოდება	2024 წლის ბოლომდე	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2000 ლარი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------	---------------------------------------------	-------------------	-----------------------------	-----------------------------	-----------	-------------------------------

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა	მუნიციპალიტეტში არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაციები სახიფათო ნარჩენების წარმოქმნისა და	სამედიცინო დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებით გაფორმებული ორგანიზაციისაგან ინფორმაციების	სახიფათო ნარჩენების გაბნევის რისკების შემცირება	გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება	2023-2024 წლებში	ქედის კომუნალურსერვისი, ქედის მუნიციპალიტეტი	დონორი ორგანიზაციები		ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

სა სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

	ტრანსპორტირების შესახებ	მიღება გატანილი ნარჩენების თაობაზე, დაბასა და აწვევის დასახლებაში ნარჩენების სეპარირების მიზნით სახიფათო ნარჩენების შეგროვებისათვის ცალკე ურნების განთავსება							
--	-------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
ნარჩენების სეპარირებული შეგროვება	მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება ქაღალდის, პლასტმასის, მწვანე ნარჩენების, ბავშვის საფენების, მინის და სხვა ნარჩენების	დაბა ქედასა და აწვევის დასახლებისათვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვისათვის დამატებითი კონტეინერების განთავსება. მოსახლეობის	ნარჩენების მართვის თანამედროვე სტანდარტების დონემდე ამაღლება	ნარჩენების მართვის სისტემის ამაღლება	2025 წლისათვის	ქედის კომუნალურსერვისი, ქედის მუნიციპალიტეტი	დონორი ორგანიზაციები	40000 ლარი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი



2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

და სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

შეგროვება ხდება ერთსა და იმავე კონტეინერში	ინფორმირება ნარჩენების ურნაში მოთავსებამდე მათი განცალკევების თაობაზე								
--------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური ნაგავსაყრელების გამოვლენა და დახურვა	მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში, სადაც არ ხდება ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება მოსახლეობის მიერ მოწყობილ ორმოებში. მაღალმთიან სოფლებში მოსალოდნელია	სტიქიური ნაგავსაყრელების გამოვლენა და ადმინისტრაციული ზომების გატარება. მომსახურების გარეშე დარჩენილ სოფლებში ეტაპობრივად ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემის ჩამოყალიბება	მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება-გატანა	მუნიციპალიტეტის ტერიტორია სტიქიური ნაგავსაყრელების გარეშე	2023-2026 წლები	ქედის მუნიციპალიტეტი შპს „ქედის კომუნალურსერვისი“	დონორი ორგანიზაცია	40000 ლარი ყოველწლიურად კონტეინერების შექმნისათვის, 460000 ლარი ავტომანქანების შექმნისათვის 2003 წელში და 2007 წელში	ქედის მუნიციპალური ბიუჯეტი

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

სა სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

	ნარჩენების გადაყრა სტიქიურად ხევებსა და ბუჩქნარებში								
--	-----------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მყარი ნარჩენების მოცულობის შემცირების მიზნით კომპოსტირების სისტემის ფართოდ დანერგვა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სოფლის დასახლებებში არ არის მყარი ნარჩენების, როგორცაა მცენარეთა ფოთლები ბოსტნეულისა და ხილის ნარჩენები, ცხოველური წარმონაქმნები და სხვა. არ ხდება მათი კომპოსტირება და მათი შემდგომი გამოყენება	მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მათი ცნობიერების ამაღლებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების ჩატარება თემის წარმომადგენლებთან სადემონსტრაციო საკომპოსტე ადგილების მოწყობა სასწავლო დაწესებულებებთან, ფერმერულ მეურნეობებთან	მყარი ნარჩენების დაგროვების მასის შემცირება მათი გადატანისათვის ხარჯების შემცირება	ნარჩენების მართვის მექანიზმის სრულყოფა	2023-2025 წლები	ქედის მუნიციპალიტეტი შპს „ქედის კომუნალურსერვისი“	დონორი ორგანიზაციები		

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

და სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

	ნიადაგის გასანოყიერებლად								
--	--------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
ნარჩენების გატანის მომსახურებისათვის დაწესებული მოსაკრებლის ამოღების მექანიზმების ჩამოყალიბება და წლიური გადასახდელების სრულად ამოღება მოსახლეობისაგან, საწარმო სექტორისაგან და დაწესებულებებისაგან	მუნიციპალიტეტის მასშტაბით შედგენილია ნარჩენების სერვისის მიწოდებისათვის მოსაკრებლის გადახდის ბაზა. მიუხედავად ამისა ყოველწლიურად მოსაკრებლის ამოღება ხდება კომერციული ობიექტებიდან და დაწესებულებებიდან. მოსახლეობისაგან არ ხდება მოსაკრებლის გადახდა ნებაყოფლობით. სხვა მექანიზმი მათგან	სწორი სატარიფო განაკვეთის შემუშავება და სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრა, მოსახლეობის ინფორმირება მოქმედი სატარიფო სისტემის ა და საბიუჯეტო სახსრების მობილიზების მნიშვნელობის თაობაზე. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდისათვის შეღავათების გაცელება, კერძო სექტორიდან და დაწესებულებებიდან გაწერილი მოსაკრებლის ყოველწლიურად 100%-იანი ამოღება	კანონმდებლობით დადგენილი ნორმის შესაბამისად ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით თანხების მოზიდვა	ნარჩენების მართვის მექანიზმების სრულყოფა	2024 წლის ბოლოდე	ქედის მუნიციპალიტეტი	ღონორი ორგანიზაციები		

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

სა სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

	მოსაკრებლის ამოღებისათვის არ არის დანერგილი								
--	---------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მუნიციპალური სამშენებლო (ინერტული) ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება	მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სამშენებლო ნარჩენების მართვის სისტემა. არ არის გამოყოფილი შეგროვებული ნარჩენების დასაწყობების ადგილები, წარმოქმნილი ნარჩენების დასაწყობება ხდება ტერიტორიებზე მათი მოსწორების მიზნით, ზოგჯერ ინერტული ნარჩენების დაგროვება ხდება გზების	მუნიციპალიტეტში სამ ლოკაციაზე ტერიტორიული ნიშნით თავისუფალი ტერიტორიის შერჩევა-დარეგისტრირება და გამოყოფა სამშენებლო ინერტული ნარჩენების განთავსების მიზნით, მოსახლეობის ინფორმირება გამოყოფილი ადგილების თაობაზე. სამშენებლო ნარჩენების სტიქიურად გადაყრის შემთხვევების გამოვლენა და	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დანაგვიანების აღმოფხვრა ინერტული ნარჩენების გან	გარემოს დაბინძურების ფაქტების აღმოფხვრა	2025 წლის ბოლომდე	ქედის მუნიციპალიტეტი	დონორი ორგანიზაციები, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	50000 ლარი	მუნიციპალური ბიუჯეტი

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

და სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

	მიმდებარე თავისუფალ ტერიტორიებზე	ადმინისტრირება, გამოყოფილ ტერიტორიებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა							
--	----------------------------------	---------------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების თაობაზე	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობის ჯერ კიდევ დაბალი დონე, ნარჩენების გარემოზე ზემოქმედებისა და ჯანმრთელობაზე ნეგატიური მოქმედების თაობაზე, ნარჩენების გატანის მოსაკრებლის გადახდის დაბალი მაჩვენებლების შესახებ, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების აუცილებლობის შესახებ, სამშენებლო ნარჩენების არალეგალურ ნაგავსაყრელებზე განთავსების შედეგების შესახებ, ნარჩენების	მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ფართო საინფორმაციო კამპანიის გამართვა ლექცია სემინარების სახით. წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვა საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალობის მიზნით	ნარჩენების განთავსების არალეგალური ნაგავსაყრელების აღმოფხვრა. მწვანე ნარჩენების კომპოსტირების სისტემის დანერგვა. ნარჩენების სეპარირების მეთოდის დანერგვა, მოსაკრებლის სახით საბიუჯეტო შემოსავლის გაზრდა	ნარჩენების მართვის ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა	2023-2027 წლებში პერიოდულად	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო	დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები	5000 ლარი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2023-2027 წლებში ქედის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო

სა სამშენებლო ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებები

	სეპარირების წესების შესახებ, სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებული რისკების შესახებ								
--	----------------------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--